ხელშეკრულება № 118
შესყიდვის შესახებ
(საქონლის შესყიდვა)

ქ. გორი 18 აგვისტო 2016 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HAII Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"(ს/კ 417874973) (შემდგომში – „შემსყიდველი"), მისი დირექტორის გიორგი ტუღუშის სახით და მეორეს მხრივ, შპს 2+1 (ს.კ 418465529) წარმოდგენილი დირექტორის კონსტანტინე ბერიძის (შემდგომში „მიმწოდებელი"), სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HAII Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze" სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით საკანცელარიო ნივთების (CPV30100000),ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალების (CPV22800000),კომპიუტერული მოწყობილობები, აქსესუარების (CPV30200000) და თოკების (CPV39500000) შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

## 2. შესყიდვის ობიექტი

2.1.შესყიდვის ობიექტია: შესყიდვის ობიექტი მოცემულია დანართი №1-ში,რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1.შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.
3.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულება:
ა. ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები (CPV22800000)-39.60 ოცდაცხრამეტი ლარი და სამოცი თეთრი
ბ. კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები (CPV30200000)-69.20 სამოცდაცხრა ლარი და ოცი თეთრი.
გ. საკანცელარიო ნივთები (CPV30100000)-108.10 ასრვა ლარი და ათი თეთრი.
დ. თოკები (CPV39500000) -120 (ასოცი) ლარი.
3.3.შესასყიდი ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 336.90 სამასოცდათექვსმეტი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

## 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, მოახდინოს დროული მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 19 აგვისტოს ჩათვლით
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. გორი
5.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. და 6.1. მუხლებში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10(ათი) კალენდარულ დღეში.
7.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი,გურამიშვილის № 5.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
–შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
–მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
–უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
–მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

–მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
–დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად..

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

12. ფორს-მაჟორი

12.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით,
როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

*14 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1.შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება,ინსპექტირებას და საქონლის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HAII Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze "-ს კურიერი მერაბ მერაბიშვილი..ინსპექტირების მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;
14.2..შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;
14.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

15. სხვა პირობები

15.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
ა(ა)იპ„ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის
თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო
კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HALL Municipality
NLP Football Club DILA under Tengiz – Burjanadze
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი TRESGE22 ს/კ 417874973

დირექტორი: გ.ბუდუში

„მიმწოდებელი"
შპს 2 + 1
მისამართი ქ.გორი წერეთლის ქ. 25
საბანკო რეკვიზიტები სს თიბისი ბანკი
ბ/კ TBCBGE22
ანგ. GE10TB7923036020100004
ს/კ 418465529

დირექტორი კ.ჭერიძე

საქონლია დასახელება

დანართი 1

| (CPV | საქონლის დასახელება | ზომისერთეული | რაოდ. | ერთ.ფასი | საქონლისფასი | CPV კოდი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დისკი DVD-R DELI | ცალი | 56 | 0.7 | 39.2 | 30234300 |
| 2 | ცელოფნის ბეიჯი | ცალი | 100 | 0.4 | 40 | 30192700 |
| 3 | ცელოფნის ბეიჯი | ცალი | 50 | 0.4 | 20 | 30192700 |
| 4 | ბეიჯის თოკი თასმა | ცალი | 150 | 0.8 | 120 | 39541110 |
| 5 | ბაინდერი პე-612 | ცალი | 2 | 3.5 | 7 | 22851000 |
| 6 | ფაილი 100 ცალიანი ა4 ეჰ–3530 | ცალი | 4 | 4.5 | 18 | 22852100 |
| 7 | კალამი პე-2240 0,5 წვერით | ცალი | 20 | 0.5 | 10 | 30192121 |
| 8 | კორექტორი ფუნჯი 283 | ცალი | 3 | 1 | 3 | 30192160 |
| 9 | კორექტორი 8137 | ცალი | 4 | 1.3 | 5.2 | 30192160 |
| 10 | შავი ფანქარი მპ-851722 | ცალი | 5 | 0.5 | 2.5 | 30192130 |
| 11 | საშლელი მპ-119711 | ცალი | 5 | 0.6 | 3 | 30192100 |
| 12 | საქაღალდე სწრაფჩამკერი ზამბარით 151 | ცალი | 10 | 2 | 20 | 30197210 |
| 13 | მარკერი ორმხრივი დგ-0120 ბრ | ცალი | 4 | 0.5 | 2 | 30192125 |
| 14 | დაფის მარკერი 6807 | ცალი | 3 | 0.8 | 2.4 | 30192125 |
| 15 | ბლოკნოტი სქ-605 | ცალი | 1 | 3 | 3 | 22816100 |
| 16 | ბლოკნოტი ილ-5-1002 | ცალი | 1 | 4 | 4 | 22816100 |
| 17 | ბლოკნოტი ბპ-502 | ცალი | 1 | 4.6 | 4.6 | 22816100 |
| 18 | ბლოკნოტი ლპ-264 | ცალი | 1 | 3 | 3 | 22816100 |
| 19 | მეხსიერების ბარათი ფლეშკა 32 გბ | ცალი | 1 | 30 | 30 | 30233180 |
| | სულ | | | | 336.9 | |

შემსყიდველი

ა(ა)იპ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა

დირექტორი

გიორგი ტუღუში

მიმწოდებელი:

შპს 2+1

დირექტორი

კონსტანტინე ბერიძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.გორი

18 აგვისტო 2016.წ

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITI HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze" -ს მიერ 2016 წლის 18 აგვისტოს დადებული №118 ხელშეკრულებ-ით შპს „2+1"-თთან გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი გიორგი ტუუში

შესყიდვების კოორდინატორი სვეტლანა ზაუტაშვილი